ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ოქმი N31 28" მარტი 2018 წელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე: ხვიჩა ცხვიტარია.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები-დავით კვიციანი, ოლეგი ნაჭყებია, თამარ თოფურია.

მოისმინეს: ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

დღის წესრიგი:

1.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ" თაობაზე.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თაობაზე.
3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"თაობაზე.
4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ტურიზმის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"თაობაზე.

/მომხს: ხვიჩა ცხვიტარია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა: დავით კვიციანმა, ოლეგი ნაჭყებიამ, თამარ თოფურიამ.

დაადგინეს: დამტკიცდეს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -----4 წინააღმდეგი ----- 0

მოისმინეს:

ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის **„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ“** თაობაზე.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა: დავით კვიციანმა, ოლეგი ნაჭყებიამ, თამარ თოფურიამ.

დაადგინეს:

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,რ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. რაც შეეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტის დასაბუთებასა და მიზანშეწონილობას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ავტორს.
2. მიღებულ იქნას კომისიის დასკვნა თანდართული სახით.

მომხრე ----- 4 წინააღმდეგი ----- 0.

მოისმინეს:

ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტების:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თაობაზე.
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“თაობაზე.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ტურიზმის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”თაობაზე.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა: დავით კვიციანმა, ოლეგი ნაჭყებიამ, თამარ თოფურიამ.

დაადგინეს:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „დ.ე“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 23-ე მუხლებისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 34-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი დადგენილებების პროექტი. რაც შეეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტის დასაბუთებასა და მიზანშეწონილობას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ავტორს.
2. მიღებულ იქნას კომისიის დასკვნები თანდართული სახით.

მომხრე ----- 4 წინააღმდეგი ----- 0.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ხვიჩა ცხვიტარია